23/04/2024

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) სიტყვა კონფერენციის ,,ცხინვალის რეგიონი – ისტორია და თანამედროვეობა” (გამოწვევები და პერსპექტივები) მონაწილეთადმი:

გულითადად მოგესალმებით ყველას, კონფერენციის ინიციატორებს, მონაწილეებს და სტუმრებს.

დღეს წარმოდგენილი თემა ,,ცხინვალის რეგიონი – ისტორია და თანამედროვეობა (გამოწვევები და პერსპექტივები)“ ფრიად მნიშვნელოვანია.

სამაჩაბლოზე და აფხაზეთზე ფიქრი და მათზე მსჯელობა სასიცოცხლოდ აუცილებელი და ამასთან სავალდებულოა ჩვენთვის.

ჩვენ ვცხოვრობთ მეტად ინფორმაციულ დროში; ეს ინფორმაციულობა ხშირ შემთხვევაში ზედაპირული და ღრმა ანალიზს მოკლებულია. ხშირად კი, სუბიექტური და გაყალბებულია. ისტორიის გაყალბება ყოველთვის ხდებოდა და დღესაც მას პოლიტიკური ძალები ბრძოლის იარაღად იყენებენ. ამას ადგილი აქვს ჩვენს

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებითაც.
ცხინვალის რეგიონი ძირძველი ქართული მიწაა, რასაც ღაღადებს ისტორია, ტოპონიმიკა, ჩვენი ეკლესია-მონასტრები, მაგრამ მავანთა მიერ მიზანმიმართულად ხდება ამ რეალობის შეცვლა და დამახინჯება, რაც ქართული იდენტობის აღმოფხვრის მიზანს ემსახურება.
ეკლესია ყოველთვის იდგა ჩვენი ერის და მისი ისტორიის დაცვის სადარაჯოზე. ეს დღესაც ასეა და იქნება ყოველთვის. დღევანდელი ჩვენი შეკრებაც ამას ემსახურება.
კონფერენციის მონაწილეებს მადლობას გიხდით წარმოდგენილი მოხსენებებისთვის და დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის. შეგვეწიოს ღმერთი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, წმინდა რაჟდენ პირველმოწამე, წმინდა მოწამენი ბიძინა, შალვა და ელიზბარი და ჩვენი ქვეყნის ყველა მფარველი წმინდანი.
მინდა ასევე განსაკუთრებით დავლოცო ჩვენი ძმები და დები, რომელნიც დევნილობაში არიან და რომელნიც ცხინვალის რეგიონში დღესაც იმყოფებიან.
ღმერთმა დალოცოს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო.

საქართველოს საპატრიარქო

[საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური]